

ირაკლი მინაშვილი

არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულების
კოდექსის კომენტარი

თბილისი, 2017
გამომცემლობა „იურისტების საყვარო“



რედაქტორები:

ბ-ნი ირაკლი გაბისონია - სამართლის დოქტორი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი.

ბ-ნი ჯემალ გახოკიძე - პროფესორი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერი.

ბ-ნი ჯემალ გაბელია - პროფესორი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

რეცენზენტები:

ქ-ნი ქეთევან ჯინჭარაძე - სამართლის დოქტორი, პროფესორი.

ბ-ნი ჯემალ ჯანაშია - სამართლის დოქტორი, პროფესორი.

ტექნიკური რედაქტორი

ხატია ქუჭიშვილი - სამართლის მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიწვეული მასწავლებელი.



წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით

© ირაკლი მინაშვილი, 2017



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-537-9-8

რედაქტორისაგან

წარმოდგენილი ნაშრომი არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მუხლობრივი განმარტება აღნიშნული კოდექსის მიზნებისა და საფუძვლების, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცნების, მათი საქმის გამოძიებისა და სასამართლოს პროცესის წარმოების და უფლება-მოვალეობების შესახებ.

ნაშრომში განხილული საკითხები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მისი განხორციელების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ ავტორი ირაკლი მინაშვილი აქტიურად არის ჩართული პედაგოგიურ საქმიანობაში და არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, ამასთან არის პროკურატურის თანამშრომელი, შესაბამისად სამართლებრივი შემხებლობა აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან, იცნობს პროკურატურის და სასამართლოს პრაქტიკას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმების ირგვლივ, რაც ხელს უწყობს გააკეთოს სწორი სამართლებრივი ანალიზი და გადმოსცეს იგი მკითხველისათვის მისაღებ ენაზე.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნაშრომი როგორც სტუდენტებისათვის ასევე პრაქტიკოსი იურისტებისათვის და არაიურიდიული განათლების მქონე მკითხველისათვის არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმების სწორი სამართლებრივი კუთხით განმარტება, ხოლო ავტორისათვის წარმატებული ნაბიჯი მის საქმიანობაში.

ირაკლი გაბისონია - სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი

შინაარსი

რედაქტორისაგან 3

თავი I

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საფუძვლები და სტანდარტები 7

§1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო საფუძვლები და სტანდარტები 7

§2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული სამართალის საფუძვლები და სტანდარტები 18

თავი II

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნები და საფუძვლები 34

§1 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანი 34

§2 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები..... 38

§3. არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია 47

§4. მეორეული ვიქტიმიზაცია და ხელახალი ვიქტიმიზაცია.... 64

თავი III

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირებადი საკითხები..... 69

§1 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირებადი საკითხების ზოგადი მიმოხილვა 69

§ 2 პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის 70

§ 3 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 73

§ 4 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 76

§5 არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 77

თავი IV

კანონთან კონფლიქტში მყოფი

არასრულწლოვნის ცნება 88

§1 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი 88

§ 2 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 90

§ 3 ასაკის ფსიქოსოციალური შეფასება 100

§4 ასაკის ზნეობრივი შეფასება 106

§5 ასაკის ბიოლოგიური შეფასება 109

§6 სტატისტიკა 112

§ 7 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოქმედება 18-დან 21 წლამდე პირთა ასაკობრივ ზღვარში.....	113
§ 8 „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი“ სისხლის სამართლის სივრცეში.....	116
§ 9 „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი“ ადმინისტრაციული სამართლის სივრცეში	128

თავი V

არასრულწლოვნის ნასამართლობა	185
§1 ნასამართლობის წარმოშობა	185
§ 2 გამამტყუნებელი განაჩენი	198

თავი VI

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი....	204
§1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ეტაპები	204

თავი VII

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის და ადვოკატის მონაწილეობა.....	210
§1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები	210
§2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებლის და პოლიციელის მონაწილეობა	214
§3 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელის და შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მონაწილეობა	231
§4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლის მონაწილეობა.....	235
§5 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოს განხილვა სპეციალიზებული მოსამართლის მიერ	252
§6 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორის მონაწილეობა.....	253
§7 სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება	257
სპეციალიზებული პროკურორის მიერ	257
§8 სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში სპეციალიზებული პროკურორის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში.....	259

§9 სპეციალიზებული პროკურორის მონაწილეობა სხვა სამართლებრივ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეში	265
§ 10 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობა	268
§ 11 როგორ ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია	286
თავი VIII სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი	288
§1 სპეციალიზაციას დაქვემდებარებული სხვა პირები	288
§2 კანონიერი წარმომადგენელი	289
§3 ახლო ნათესავი	289
§4 მხარდამჭერი	290
§5 საპროცესო წარმომადგენელი	295
§6 კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები	301
§ 7 თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი	305
თავი IX	
არასრულწლოვანი დაზარალებული.....	307
§1 არასრულწლოვანი დაზარალებულის უფლება-მოვალეობები.....	307
§2 სასამართლოში ჩვენების მიცემის უფლება	316
თავი X	
არასრულწლოვანი მოწმის უფლება-მოვალეობები.....	325
§1 არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა/გამოკითხვა	325
თავი XI	
ასაკის დადგენა.....	361
§1 ასაკის დადგენის მნიშვნელობა და საჭირო ქმედებები	361
თავი XII	
ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.....	364
§1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა და მისი ფორმა	364
§2 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ეტაპები	369
თავი XIII	
სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა.....	372
§1 სისხლის სამართლის საქმიდან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის სამართლებრივი შემთხვევები	372

თაპი I
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების
საფუძვლები და სტანდარტები

§1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების
საერთაშორისო საფუძვლები და სტანდარტები

არასრულწლოვანთა სამართალდარღვევათა ისტორიული წარსული შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც უსამართლო. ასეთი შეფასება ეხება კაცობრიობის განვითარების ყველა ეპოქას – ანტიკური სამყაროდან მეცხრამეტე საუკუნემდე. იმ დროის იურისპუდენციაში არ არსებობდა სამართლებრივი ცნება ბავშვობის – როგორც ადამიანის ცხოვრების განსაკუთრებით დაუცველი პერიოდისა, შედეგად სამართლებრივ აქტებშიც არ მოიპოვება სასამართლოებსა თუ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ბავშვთა სპეციალური დაცვის იურიდიული წესები.¹

მიუხედავად აღნიშნულისა, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად მტკიცება იმისა, რომ რომის სამართალმა, შუა საუკუნეების გვიანდელმა აქტებმა და მითუმეტეს მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეების კანონმდებლობამ არ დაგვიტოვა არავითარი იურიდიული დამადასტურებელი ცნობები იმის თაობაზე, რომ ხორციელდებოდა ცალკეული მცდელობები სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა სასტიკი დასჯისაგან დაცვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვის პირველ მცდელობებს ისტორიულად ადგილი ჰქონდათ სამოქალაქო და არა სისხლის სამართალში.²

იმპერატორ იუსტინიანეს დიგესტებში (მეოთხე საუკუნე), მეოთხე წიგნის მეოთხე ტიტული დასათაურებულია; „25 წელს მიუღწეველ პირთა შესახებ“, ამ ტექსტში ნათქვამია რომ 25 წელს მიუღწეველ პირთა დაცვას ახორციელებენ მათი მეურვეები და საუბარია პირველ რიგში ქონებრივ გარიგებებზე.³

ანტიკური და შუა საუკუნეების კანონმდებლობაში საუბარია

1 საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, „არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საწვრთნელი დებულებები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები“. 2003 წელი. გვ. 10.

2 იქვე

3 იქვე

მხოლოდ არასრულწლოვანთა სასჯელზე. „მეთორმეტე ტაბულის კანონში“⁴ პირველად მოხდა სასჯელის პატიების პრინციპის ასახვა, რომლის მიხედვითაც [... სასჯელი შეიძლება არ დანიშნულიყო მხოლოდ ორი პირობის არსებობისას –

1) თუ დანაშაულის ჩამდენს არ ჰქონდა გათვინობიერებული დანაშაული,

2) თუ დანაშაულის აქტი არ იყო ბოლომდე მიყვანილი...].

ამასთანავე კანონით განსხვავებული იყო წინასწარ განზრახვითა და განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაული. განზრახ დანაშაული ყოველთვის ისჯებოდა, თუმცა „ფსიქიკურად მოუმწიფებელი“ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის შემსუბუქება დასაშვებად გახლდათ მიჩნეული.⁵

ბავშვთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამიჯვნამ ასახვა ჰპოვა ნორვეგიის მეთორმეტე საუკუნის სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც ნათქვამი იყო, რომ [...უფროსებს შეიძლება ქურდობისთვის მოაჭრან ორივე ხელი, ბავშვებს კი – მხოლოდ ერთი“ ...]⁶.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობას ძირითადი და მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაეყარა მეცხრამეტე

4 თორმეტი ტაბულის კანონები (Lex Duodecim Tabularum) წარმოადგენს რომაული სამართლის საფუძველს. ტიტუს ლივიუსის ცნობებზე დაყრდნობით, თორმეტ ტაბულამდე კანონებს ინახავდნენ პონტიფიკუსები, მათი გაცნობა მხოლოდ პატრიციუსებს შეეძლოთ და იგი არ იყო უბრალო ხალხისთვის ცნობილი. ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში სახალხო ტრიბუნებმა წამოაყენეს მოთხოვნა, რომ შექმნილიყო ყველასთვის მისაღები და საჯაროდ ცნობილი კანონთა კრებული. ამ მოთხოვნით ყველაზე აქტიურად ძვ. წ. 462 წელს ტერენტილიუსი გამოდიოდა. პატრიციუსები თავიდან შეენინააღმდეგენ ამ ინიციატივას, მაგრამ ძვ. წ. 455 წელს სენატმა გააზავა ელჩობა ათენში სოლონის კანონების შესასწავლად. ძვ. წ. 451 წელს მოხდა კონსულების ნაცვლად ათკაციანი საკანონმდებლო კოლეგიის არჩევა, რომელსაც დეცემვირატი ეწოდა. სულ ორჯერ იყვნენ დეცემვირები არჩეულნი, თავისი მოღვაწეობის პერიოდში მათ შექმნეს თორმეტი ტაბულის კანონები. ეს ტაბულები სახალხო კრებაზე იქნა განხილული და საყოველთაო კენჭისყრით მიღებული. მიღებული კანონები ამოკვეთეს დაფებზე და ფორუმზე თვალსაჩინო ადგილზე დადეს. სამწუხაროდ ორიგინალმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, იგი განადგურდა როდესაც რომი გალებმა აიღეს ძვ. წ. 390 წელს. დღემდე მოაღწია ამ კანონების ციტატებმა სხვადასხვა ავტორებთან. ციცერონი მიიჩნევდა რომ მიუხედავად მრავალი ცვლილებისა და ახალი კანონებისა, თორმეტი ტაბულის კანონი წარმოადგენს დანაშაულის სამართლის საფუძველს.

5 „საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი. „არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. სანვრთნელი დებულებები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები“. 2003 წელი. გვ 12. 6 იქვე

საუკუნის შუახნებიდან, მას შემდგომ რაც 1850 წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი ახალგაზრდა პატიმართა აღზრდისა და პატრონაჟის შესახებ, 1854 წელს გაერთიანებულ სამეფოში მიიღეს პირველი კანონი არასრულწლოვან დამნაშავეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსების შესახებ (Reformatory School Act).

მსოფლიოს შემდეგი ნაბიჯი ამ კუთხით იყო 1899 წელს ჩიკაგოში არასრულწლოვანთა საქმეების პირველი სასამართლოს შექმნა, მსგავსი სასამართლოს შექმნის ამ გამოცახილს 1908 წელს აჰყვა დიდი ბრიტანეთი, 1910 წელს რუსეთი, 1912 წელს საფრანგეთი და ბელგია, 1918 წელს ესპანეთი, 1921 წელს ნიდერლანდები, 1922 წელს გერმანია, 1931 წლისათვის მსგავსი სასამართლოები მსოფლიოს დაახლოებით 30 ქვეყანაში მოქმედებდა. 1985 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაციის მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები), 1990 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან მოპყრობის წესები, 1990 წელს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადი).

1989 წელს მიღებულ იქნა „ბავშვთა უფლებათა კონვენცია“, აღნიშნული დოკუმენტი ყველაზე უფრო სრულფასოვანი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. შესაბამისად მიზანშეწონილია შედარებით ვრცლად იქნეს განვრცობილი მისი მომზადების და კონვენციის პროექტის შემუშავების პერიოდი.

1924 წელს მიღებულ იქნა ბავშვის უფლებათა პირველი დეკლარაცია, ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბავშვის დაცვის კომიტეტი ჩამოყალიბდა, თუმცა იგი მომდევნო ხუთი ათწლეულის განმავლობაში პასიურ ორგანოდ დარჩა. პროცესს, რომელსაც ბავშვის უფლებების თაობაზე საერთაშორისო შეთანხმება მოჰყვა, საფუძველი 1959 წელს ჩაეყარა, ეს საფუძველი კი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ბავშვის უფლებების დეკლარაციის მიღება იყო.⁷

7 ნევენა ვუჩკოვიჩი საპოვიჩი, იაპ ე.დოეკი, ჟან ცარმატენი. ქართული თარგმანი რუსუდან ტუშური, თამარ ალექსიძე. „ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში“, 2015 წ. გვ. 47.

ერთა ლიგის დაშლის შემდეგ, გაეროს დროებითი სოციალური კომისიის ფარგლებში ბავშვის უფლებების დეკლარაციის მიღების შესაძლებლობაზე დისკუსია წამოიწიეს, დროებითმა სოციალურმა კომისიამ ორი მთავარი შესაძლებლობა განიხილა; ერთი დეკლარაციის პირვანდელი ფორმის, სტრუქტურისა და შინაარსის შენარჩუნებით გაეროს სისტემაზე დეკლარაციის მორგებისათვის, მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობა იყო; მეორე ვერსიად კი სრულიად ახალი ტექსტის მომზადება და მიღება განიხილებოდა. დროებითი კომისიის წევრებმა კენჭისყრით მხარი მეორე ვერსიას დაუჭირეს. ამდენად ბავშვის კეთილდღეობის კონცეფციის თანამედროვე აღქმაზე დაფუძნებით ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს ქარტიის მსგავს დოკუმენტზე მუშაობის დაწყება გადაწყდა. ეს წინადადება მრავალი სახელმწიფოსათვის საინტერესო აღმოჩნდა. ჯერკიდევ 1949 წლის მარტში ხუთმა სახელმწიფომ წარაგდგინა დეკლარაციის ტექსტის პროექტი, რომელზეც კომენტარები ოცდაერთმა ქვეყანამ მოამზადა. ამგვარი ტექსტის მიღების ინტერესი მრავალმა ქვეყანამ ჯერკიდევ საწყის ეტაპზე გამოხატა. საბოლოო ტექსტი გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სოციალურმა კომიტეტმა მოამზადა.⁸

1959 წლის ბავშვის უფლებების დეკლარაცია პრეამბულისა და ათი პრინციპისაგან შედგება. პრეამბულა გაეროს წესდებაში განმტკიცებულ პრინციპებს ადასტურებს, განსაკუთრებით ხაზს უსვამს დისკრიმინაციის აკრძალვას „რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადებისა ან სხვა სტატუსის“ საფუძველზე. ამასთან პრეამბულა განმტკიცებს მოსაზრებას, რომ „ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ სამართლებრივი დაცვის ჩათვლით სპეციალური დაცვა და მზრუნველობა სჭირდება“. პრეამბულა 1924 წლის ბავშვის უფლებების დეკლარაციას ცალსახად ეყრდნობა და ბავშვის საერთაშორისო დაცვის მნიშვნელობას ხაზგასმით განმტკიცებს. პრეამბულა ადამიანის უფლებების საყოველთაო

⁸ იქვე